ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4736929

ნომერი: AR1710460

თარიღი : 02.10.2019

გაცემის თარიღი : 04.11.2019

გაცნობის თარიღი : 04.11.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭონქაძე , N23;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მაია თვალიაშვილი პ/ნ 01009001725
- აღმაშენებლის გამზ. 189-ა

ორგანიზაცია:
- შპს ასტორია კოდი: 404856660

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 აპრილის №3934565 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 02 ოქტომბრის №AR1710460 განაცხადით მომართა მაია თვალიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 27 აპრილის №3934565 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 27 აპრილის №3934565 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – მთაწმინდა), ჭონქაძის ქ. N23-ში შპს "ასტორია"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე, არსებული სასტუმროს კორექტირებული პროექტი. ხოლო, 2018 წლის 04 ივნისის №3996401 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 4 ივნისიდან 2019 წლის 4 ივნისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით 2018 წლის 27 აპრილის №3934565 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია შეცდომა. კერძოდ, საზაფხულო ფართობი 446.7 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 449,8 კვ.მ, დამხმარე ფართობი 1735.8 კვ.მ-ის ნაცვლად 1750,4 კვ.მ, სასტუმროს ნომრების ფართობი 2796.8 კვ.მ-ის ნაცვლად 2786,8 კვ.მ. საერთო ფართობი: 5658.3 კვ.მ-ის ნაცვლად 5666.0 კვ.მ. განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია გეგმები.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 აპრილის №3934565 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი: 449,8 კვ.მ, დამხმარე ფართობი: 1750,4 კვ.მ, სასტუმროს ნომრების ფართობი: 2786,8 კვ.მ. საერთო ფართობი: 5666.0 კვ.მ.
2. სამსახურის 2018 წლის 27 აპრილის №3934565 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. სამსახურის 2018 წლის 27 აპრილის №3934565 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 აპრილის №3934565 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.